თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-77-127166-26 , 01-13-127775-26
28 / 05 / 2026

შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი"-ს დირექტორს
სოფიო ასპანიძეს

ქალბატონო სოფიო,

თქვენი მიმდინარე წლის მაისის №01-77-127166-26 და №01-13-127775-26 წერილების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №23-ში (საკ. კოდი: №01.14.03.039.015) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას, გენგეგმის დამოწმებას და გაზსადენის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, რომ შპს ,,თბილისი ენერჯი" საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშოებს შეითანხმებს და გენგეგმას დაამოწმებს ნაკვეთზე არსებული მიწისქვეშა D=63 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენის გადატანის შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ კომპანია თანახმაა საკადასტრო ერთეულზე გაზსადენის სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდეს შპს „ენერჯი ქონსთრაქშენის" მიერ მომზადებული პროექტის (დაკვეთა №01-77-148506-25) შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ გაზსადენის გადატანის სამშენებლო სამუშაოების თანხის სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების, სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო მესაკუთრე) მოპოვების და წარმოდგენის შემთხვევაში.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

შპს "მაგთიკომი"
№ ED-26/05/21-036
21-05-2026 წ.

კავკასიის მედიცინის ცენტრი
პ.ქავთარაძის ქ. 23, 0186 თბილისი, საქართველო
CMC-IN-26-0521-03
შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი" ს/კ 404925747

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრი''-ს დირექტორს ქალბატონ სოფიო ასპანიძეს

ქალბატონო სოფიო,

თქვენი 2026 წლის 18 მაისის NCMC-OUT-26-0518.01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ საპროექტო ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. 23, ს/კ 01.14.03.039.015) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 108910: 577 383526.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

დოკუმენტის ნომერი: **260521034**

Classification: MAGTICOM Confiden
Digitally signed by MagtiCom LLC
2026.05.21 17:09:42 +0400



მაგთიკომი
MAGTICOM

შპს "მაგთიკომი"

ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ. №7

ტელ: 032 217 00 00 ან 11001

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი თოდაძე

თარიღი: 5/21/2026

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია